სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

22 / ივნისი / 2026 წ.

KA080145617400526

№ **1897**

განკარგულება

„სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკონკურსო კომისიის შექმნის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 26 ივლისის №2134 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის № 204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ მე-14 და მე-15 მუხლების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკონკურსო კომისიის შექმნის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 26 ივლისის № 2134 განკარგულებაში და მისი პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკონკურსო კომისია (შემდგომში – „კომისია“) შემდეგი შემადგენლობით:

ა) კახი დემეტრაშვილი – კომისიის თავმჯდომარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე;

ბ) გელა გელაშვილი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) კონსტანტინე გუგეშაშვილი – კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი;

დ) თამუნა კაკაშვილი – კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;

ე) ვახტანგ ნოღაიდელი – კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების სამსახურის უფროსი;

ვ) ნათელა ბედენაშვილი – კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის უფროსი;

ზ) ქეთევან თოფურია – კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი;

თ) მანანა სალუქვაძე – დამოუკიდებელი სპეციალისტი.“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი ლაცაბიძე